ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3557792

ნომერი: AR1540578

თარიღი : 14.09.2017

გაცემის თარიღი : 03.10.2017

გაცნობის თარიღი : 03.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება თემქის , კინოთეატრი "სიხარული" ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სერგო კვანტალიანი პ/ნ 62001015364
- ქ.თბილისი, ქავთარაძის 5, ბინა80

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 21 დეკემბრის №3009487 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 14 სექტემბრის №AR1540578 განცხადებით მომართა მოქ. სერგო კვანტალიანმა და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის

21 დეკემბრის №3009487 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 21 დეკემბრის №3009487 ბრძანებით დამტკიცდა, ქ.თბილისში, თემქის დასახლებაში, მიწის ნაკვეთზე ს/კ: №01.12.02.018.015 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: სამსახურის 2017 წლის 21 დეკემბრის №3009487 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საზოგადოებრივ საზღვრებად მითითებულია ჩრდილოეთი, ჩრდილო - აღმოსავლეთი და სამხრეთი მხარეები, ხოლო განმცხადებელი განმარტავს, რომ საზოგადოებრივი საზღვარი უნდა განისაზღვროს: ჩრდილოეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით.
სამსახურმა 2017 წლის 14 სექტემბრის №AR1540578 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა შეადარა სამსახურის 2017 წლის 21 დეკემბრის №3009487 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და სამსახურის 2017 წლის 21 დეკემბრის №3009487 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 21 დეკემბრის №3009487 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: ამავე ბრძანებით განსაზღვრული საზოგადოებრივი საზღვრების ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ,,საზოგადოებრივი საზღვრები გააჩნია: მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით".
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 21 დეკემბრის №3009487 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 21 დეკემბრის №3009487 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.